ვ. ბრომოვი

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№109 (1123) | სამშაბათი, 10 სექტემბერი, 1957 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 30 კაპ.

„30 წამის წესი“ შევიდა ძალაში

მაყურებლის გულისთქმა

თბილისელებს უყვართ კალათბურთი, ესმით ეს თამაში. ხშირად ტრიბუნებზე მოისმენთ ამა თუ იმ თამაშის საკმაოდ კვალიფიციურ და ზუსტ გარჩევას. ეს არ არის გასაკვირი. თბილისმა უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ბევრჯერ გადაიტანა საკავშირო შეჯიბრებათა „ცაებცხელება“, არა ერთი და ორი საერთაშორისო შეხვედრა იხილა...

მაგრამ საქმე ამაში არაა. ჩვენ ამჟამად იმის გარკვევა კი არ გვაინტერესებს, თუ რა დონით ესმის ხალხს კალათბურთი. ეს სიტყვამ მოიტანა. ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ კალათბურთის ვეტერან მაყურებელთა ზოგიერთი შეხედულება, რომელიც შეიძლება ინტერესს მოკლებული არ იყოს.

როდესაც ჩვენი ქვეყნის ორმა პოპულარულმა გუნდმა ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ და ცსკ მო-მ ერთმანეთს ზონური დაცვა დაუპირისპირეს, იყო მომენტები, როდესაც გუნდები გასაჭირში აღმოჩნდნენ. არ იცოდნენ როგორ გაერღვიათ ეს ჯადოქრული „ზონა“. ამ დროს ტრიბუნაზე ვილაცამ ხმამაღლა წამოიძახა: ეჰ, სად არის ახლა როზაო. ამ მაყურებელს ჩვენ გავუგეთ. მან მოიგონა კაუნასელთა თავდასხმის ცენტრი სერციავიჩუსი, რომელსაც კალათბურთელები და მაყურებლები როზას სახელით იცნობენ. ცენტრი ცსკ მო-საც ჰყავს, უცენტროდ არც ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ თამაშობს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცენტრის დღევანდელი მცნება საკმაოდ განსხვავდება მისი უწინდელი არსისაგან. უკანასკნელი ოლიმპიური თამაშების შემდეგ საზღვარგარეთის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა ცენტრალური თავდამსხმელის წამყვან როლს გუნდში. შორს წასვლა არ არის საჭირო. ყველამ იცის, თუ რა როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმატებებში წლების მანძილზე მისმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ოთარ ქორქიამ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის თქმა არ გვინდა, რომ დღეს გუნდები უცენტროდ თამაშობენ. პირიქით, ყოველ გუნდს რამდენიმე ცენტრალური თავდამსხმელი ჰყავს. ავიღოთ თუნდაც ცსკ მო. აქ ცენტრის როლს ხან ბოჩკარიოვი ასრულებს, ხან ხარიტონოვი. ზოგჯერ სემიონოვიც. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ბევრი იკავებს ცენტრალური თავდამსხმელის ადგილს, მაგრამ არც ერთი არ ასრულებს მის მოვალეობას მთლიანად.

თბილისის „დინამოს“ ჰყავდა თავისი ლიდერი — ცენტრალური თავდამსხმელი ოთარ ქორქია (იგი სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ამ ტურში არ მონაწილეობს), ჰყავს ამ ადგილის ნიჭიერი, მაგრამ ჯერ ახალგაზრდა პრეტენდენტი ი. ხაზარაძე. ჰყავს მკვეთრად გამოსახული ცენტრალური თავდამსხმელი კაუნასის „ჟალგირისსაც“ (არც ამ გუნდს სურს უღალატოს ტრადიციას) ა. ლაურიტენასი, მაგრამ ზემოჩამოთვლილი კალათბურთელები ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებიან თავიანთ „მამებს“.

გულდაწყვეტილი მაყურებელი სწორი იყო, როდესაც იგი ახსენებდა სერციავიჩუსს.

ახალი წესებით

შესამჩნევია მოედნის კუთხეებში აღმართული სვეტები, რომლებზეც ხანდახან წითელი შუქი ინთება. ეს იმის სიგნალია, რომ გუნდმა დაამთავროს შეტევა და განახორციელოს სროლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბურთი მოწინააღმდეგეს გადაეცემა. ეს ახალი წესია, ე. წ. „30 წამის წესი“, რომელმაც ნაწილობრივ შეაფერიაქა თამაშის მანამდე არსებული ტაქტიკა.

თავისთავად ეს წესი საკმაოდ გონივრულია. გუნდმა 30 წამის განმავლობაში უნდა განახორციელოს შეტევა რამდენიმე გადაცემით და ესროლოს კალათში. თითქოს ახალი აქ არაფერია. კალათბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები დიდი ხანია, რაც უპირატესობას აძლევდნენ სწრაფს ე. წ. პირველ შეტევას, რომლის წარუმატებლობის შემთხვევაში გუნდი იწყებდა ხელახალ — მეორე შეტევას. მაგრამ წინათ ამის შეუსრულებლობა არაფრით არ ისჯებოდა, ახლა კი — საკმაოდ „მკაცრი“ განაჩენით, რაც ბურთის დაკარგვაში გამოიხატება.

ამ ახალმა წესმა გუნდები „ჩახმახზე“ შეაყენა. კალათბურთელები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრონ შეტევა და ესროლონ კალათში. ამან თამაშს კიდევ ერთი სასარგებლო ფაქტორი დაუმატა — ტემპი და სისწრაფე, რაც სამწუხაროდ, ზოგჯერ ფაცი-ფუცში გადადის. სპორტსმენები რატომღაც ნაკლებს ფიქრობენ ტაქტიკურ ვარიანტებზე, ფარებზე, ხელსაყრელი პოზიციების შერჩევაზე. კიევის „ბურევესტნიკისა“ და ქალაქ სვერდლოვსკის გუნდების შეხვედრაში შეტევა ისეთ ნაჩქარევ იერს ატარებდა, რომ იგი ხშირად უაზრო ხდებოდა. „30 წამის წესი“ შემოღებულ იქნა არა იმისათვის, რომ სპორტსმენებმა ქაოტურად იმოძრაონ და დაჰკარგონ ყველაფერი გონივრული, არამედ იმიტომ, რომ ის რაც წინათ შედარებით ნელა კეთდებოდა — უფრო სწრაფ ტემპში შესრულდეს.

ამ ახალმა წესმა გუნდების წინაშე დასვა კიდევ ერთი საბრძოლო ამოცანა — საშუალო და შორი მანძილიდან კალათში ზუსტად სროლა. სამწუხაროდ, ეს ფაქტ არი ბევრი გუნდისათვის და პირველ რიგში თბილისის „დინამოსათვის“ აქილევსის ქუსლია. თბილისელებს ჰყავს თავისი სნაიპერი ა. კილაძე, მაგრამ იგი თავის შესანიშნავ სროლებს იშვიათად და გაუბედავად იყენებდა. შესვენებაზე კი მოთელვის დროს, მან თითქმის ცენტრიდან ხუთჯერ ზედიზედ ჩააგდო ბურთი კალათში. სროლა საჭიროა ხშირად, მაგრამ იმ აუცილებელი პირობებით, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში პარტნიორები და პირველ რიგში მაღალი ტანის მოთამაშეები იბრძოლებენ ფარზე ბურთის აღებისათვის. „დინამოს“ სნაიპერის ან სხვა რომელიმე მოთამაშის სროლა კონტაქტში უნდა იყოს ხაზარაძის, გურამ და გივი აბაშიძეების და ვ. გვანცელაძის (რა თქმა უნდა პირველ რიგში) ფარზე დაუღალავ მუშაობასთან.

მესამე კალენდარული დღე

თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ შეხვედრა მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო. ორივე გუნდი ითვლებოდა ლიდერად და ორივეს სჭირდებოდა ქულა, როგორც ჰაერი. თამაში მოწინააღმდეგეებმა საბრძოლო შემადგენლობით დაიწყეს. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს არმიელებმა, რომლებიც უფრო აგრესიულად და შედეგიანად უტევდნენ ფარს. მოსკოველებმა თანდათან გაადიდეს ანგარიშში განსხვავება და უკვე მე-15 წუთზე წინ იყვნენ 9 ქულით.

ლენინგრადის გუნდის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც ფომიჩევმა დატოვა მოედანი. მისი შემცვლელი ახალგაზრდა პრიახინი არმიელებისათვის საშიშ ძალას არ წარმოადგენდა. პირველი ტაიმი წააგეს „ბურევესტნიკის“ კალათბურთელებმა — 22:33. თამაშის მეორე ნახევარში წონასწორობა თითქოს აღსდგა, მაგრამ მცირე ხნით. მოედანს დაუბრუნდა არმიელი სემიონოვი (იგი მწვრთნელმა პირველ ნახევარში გაიყვანა) და მოსკოველებმა ახალი ძალებით წარმართეს შეტევა. 33-ე წუთზე ლენინგრადის გუნდი აგებდა 12 ქულით (41:53). მალე მოედანი დატოვა არმიელმა ბოჩკარიოვმა. ეს მოსკოველთა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ მის მოწინააღმდეგეს ფაქტიურად ფარ-ხმალი უკვე დაყრილი ჰქონდა. ცსკ მო-მ მოიპოვა მეტად საჭირო გამარჯვება — 66:55.

როგორც ყოველთვის, ძლიერად დაიწყო თამაში მოსკოვის „სპარტაკმა“ თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ. ანგარიში გახსნა ხაზარაძემ, მაგრამ სულ მალე წინ გავიდა „სპარტაკი“ — 3:2. თბილისელებმა ახალი ძალით შეუტიეს მოწინააღმდეგის ფარს და გვანცელაძემ ძნელი მდგომარეობიდან მოათავსა ბურთი კალათში — 4:3. თამაშის მე-4 წუთზე წინ არიან „დინამოელები“ — 8:7, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ანგარიში წაიყვანეს სპარტაკელებმა.

თბილისელები ვერ იყენებენ რამდენიმე ხელსაყრელ მომენტს, ხოლო მოსკოველები პირიქით და აი, სადემონსტრაციო დაფა აჩვენებს 22:13 „სპარტაკის“ სასარგებლოდ. მოედანზე ელენტის შემოსვლამ თბილისელთა თამაში გამოაცოცხლა. იგი ლ. ინწკირველთან ერთად ამცირებს ანგარიშში განსხვავებას, ხოლო პირველი ნახევრის დასასრულს კი იმავე ინწკირველის ქულას წინ გაჰყავს „დინამო“ 40:39.

მეორე ნახევარში უპირატესობა მთლიანად თბილისელთა მხარეს გადადის. ბრწყინვალედ თამაშობს ლ. ინწკირველი, იგი ოსტატურად აგვირგვინებს რამდენიმე ლამაზ კომბინაციას. ანგარიში თბილისელთა სასარგებლოდ განუწყვეტლივ მატულობს. „სპარტაკის“ გუნდი შეეგუა წაგებას, ამასთან მისი ძირითადი მოთამაშეები უკვე აღარ არიან მოედანზე. თბილისის „დინამო“ იგებს მორიგ შეხვედრას ანგარიშით 75:61.

ამ დღეს გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა კიევის „ბურევესტნიკსა“ და სვერდლოვსკის გუნდებს შორის. თამაშის პირველმა ნახევარმა ვერ გამოავლინა უძლიერესი — 31:31. მეორე 20 წუთში უფრო აქტიურები იყვნენ უკრაინელი კალათბურთელები, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება 65:52.

ნ. ბუზუშვილი

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა იერიში სპარტაკელთა ფარზე.

ფოტო ვ. მღებრიშვილისა.

„ჩვენ ვნახეთ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა“

— საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში დიდი მიღწევებია, — განაცხადა საფრანგეთის ფიზკულტურის მასწავლებელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, საფრანგეთის ეროვნული განათლების სამინისტროს სამედიცინო კონტროლის სამმართველოს უფროსმა დოქტორმა ფილიპ ანკოსმა. — ჩვენ ვნახეთ, — განაგრძო დოქტორმა ანკოსმა, — ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა.

საქართველოში ყოფნის დროს ფრანგმა სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობანი. დელეგაცია გაეცნო ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში ფიზკულტურულ მუშაობას, საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში სასწავლო პროცესის ორგანიზაციას. ინახულეს „ბურევესტნიკის“ ახალი სტადიონი, სადაც იმ დროს მიმდინარეობდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ქალაქის საწარმოები.

საფრანგეთის ფიზკულტურის მასწავლებლები შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების მუშაკებს.

ქალთა ოლიმპიადა

საინტერესოდ ვითარდება ბრძოლა ქალთა მსოფლიო გუნდურ პირველობაზე. პირველ ქვეჯგუფს ლიდერობს საბჭოთა კავშირის გუნდი. მეორეს—ბულგარელები, რომლებსაც 3,5 ქულა აქვთ 4 შესაძლებლიდან, მესამეს — იუგოსლავიისა და ინგლისის მოჭადრაკეები, რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ 4 შესაძლებლიდან.

დარვაზის ქედის ტრავერსი

◆

ო. გიგინეიშვილი,
პამირის ექსპედიციის უფროსი.

◆

სტალინაბადის ქუჩების წყნარი და ჩრდილუხვი ხეივნები, ფოთლების ჩუმი შრიალი ხეთა კენწეროებში და წყლის წყნარი დუდუნი გზისპირა არხებში...

რუსთაველის ქუჩას მივყვები. ყოველ ჩამოსვლისას ამ ქუჩისაკენ მიმიწევს გული და თუმცა უკვე ვიცნობ მის ყოველ სახლს, ყოველ ხეს, ყოველ კუნჭულს, ხანდახან მაინც შევავლებ თვალს წარწერებს ქუჩის სახელწოდებით. და არა მარტო მე, ყოველ ჩვენს მთამსვლელს უყვარს აქ გავლა. რუსთაველის ქუჩა ქალაქის ცენტრშია და საქმეზედაც რომ მივაჩქარით, ვცდილობთ მასზე გავლით მივიდეთ დანიშნულების ადგილას.

ახლა მეტეოროლოგიურ სამმართველოსკენ მიდევს გზა. მომავალი ამინდები მაინტერესებს. ყოველ წელიწადს ამინდის პროგნოზებით ვსარგებლობთ და თუმცა ეს პროგნოზები არც ერთხელ არ გამართლებულა, მაინც ვიხდით ვალს დადგენილი წესისა და მეცნიერების წინაშე.

სამმართველოში შემხვდნენ როგორც ძველ ნაცნობს. თავაზიანად მომცეს მომავალი თვის პროგნოზი და რამდენადაც გასული დღეების ამინდის შეფასება ზუსტად შეიძლება, საკმაოდ ცუდი ამბავი დამახვედრეს. წელს შუა აზიაში უჩვეულო ამინდი იყო. ასეთივე მდგომარეობაა პამირის მთებშიც. საშუალო ტემპერატურა გასულ წლებთან შედარებით ბევრად დაბალია. პამირზე ძლიერი თოვა ივლისშიც გრძელდება. ამინდის ბიუროს მუშაკების აზრით მდგომარეობა არ შეიცვლება აგვისტოშიც, როდესაც ჩვენ ასვლები გვექნება. როდესაც ბიუროს მუშაკებმა ჩემი საყვედურები მოისმინეს, დამპირდნენ, რომ ჩვენი ექსპედიციის რადიოსადგურის საშუალებით მოგვაწვდიდნენ რამდენიმედღიან პროგნოზებს — ასეთ შემთხვევაში კი შეცდომებს ალბათ ადგილი აღარ ექნებაო. ამინდს კი წელს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ვაპირებდით არა ცალკეულ მწვერვალზე ასვლის მოხდენას, არამედ მთლიანი ქედის ტრავერსს, ე. ი. მრავალი მწვერვალის გადავლას ძირდაუშვებლად. ეს კი მოითხოვდა დიდ სიმაღლეზე ხანგრძლივ ყოფნას და თუ იერიშის დაწყების დრო არ იქნებოდა სწორად შერჩეული, ანდა ჯგუფი ისე არ დაგეგმავდა ასვლას, რომ უამინდობას წინასწარ მომზადებულ ადგილზე შეხვედროდა, მაშინ მთელი ჩვენი ღონისძიება ფუჭად ჩაივლიდა. ასეთ დროს უნებურად აღრიცხავ გონებაში ყველა წარსულ მარცხს, რომელსაც ადგილი ჰქონია მთამსვლელობაში, განსაკუთრებით კი 1955 წელს ტიან-შანის ქედის მწვერვალ „პობედაზე“ მომხდარ ამბავს. სწორედ იმის გამო, რომ ჯგუფი არ აღმოჩნდა მზად უამინდობასთან საბრძოლველად, 12 მოიერიშედან უკან აღარ დაბრუნებულა 11. მათ შორის იყო ჩვენი ექსპედიციის მონაწილე 1954 წელს — მოსკოველი მთამსვლელი ალექსი სუსლოვი. ავდარი გახდა მიზეზი კატასტროფისა უშბაზეც, 1945 წელს, როდესაც დავკარგეთ საბჭოთა ალპინიზმის სიამაყე, უებრო მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე თავის თანამგზავრებთან — ქ. ონიანთან და ნ. მუხინთან ერთად.

უნებლიედ წარმომიდგა ღრუბლებში გახვეული დარვაზის ქედი და ნამქერის თეთრი დოლბანდი მის თხემებზე. იქით გვედვა ამ ზაფხულს გზა და ვინ იცის რას მოგვიტანდა ან მწვერვალები ან ღრუბლები.

დარვაზის ქედი შემთხვევით არ შეგვირჩევია. ის, მის მთავარ მწვერვალთან — გარმოსთან ერთად, 1955 წელს სტალინის პიკზე ასვლის დროს დავინახეთ გარმოს ყინვარიდან. გარმოს მწვერვალის წინ გვქონდა გაშლილი საშუალედო ბანაკი და საშუალება გვქონდა საკმაოდ კარგად დაგვენახა დარვაზის ქედის თხემი. ეს იყო ყინულის ჯავშანში ჩასმული ბუმბერაზი და პირქუში, ლამაზი და ზვიადი მასივი. ძნელია იმის თქმა,თუ რა სჭარბობდა მასში—სილამაზე თუ სიზვიადე, თუმცა მწვერვალი სწორედ იმით არის ლამაზი, რომ ის ზვიადი და პირქუშია. დაუვიწყარია ის წუთები, როდესაც დარვაზის კალთებიდან ზვავი მოდიოდა. ათასობით ტონა ყინული, თოვლი და ქვა გრიალით ეშვებოდა ქვევით და მისგან ავარდნილი ბუქი კარგა ხანს ნისლად ეხვეოდა ქედის მწვერვალებს, გუგუნი კი აწყდებოდა გარდიგარდმო ქედებს და შემდეგ კიდევ დიდხანს ხმაურობდა გარმოს მთელი ხეობა. ასეთ დროს შურთხი უსტვენდა და ჯიხვები შეშფოთებით სწევდნენ თავს ზევით.

წარსულიც ამშვენებდა გარმოს მწვერვალს. მრავალი წლის განმავლობაში მას ხედავდნენ და მაინც ეძებდნენ. ეძებდა არა ერთი და ორი კაცი, არამედ ეძებდნენ ექსპედიციები. იქ იყვნენ გეოგრაფები, ტოპოგრაფები, გეოლოგები, მთამსვლელები. ეს იყო მეტად ძნელი სამუშაო, რომელიც ნიშნავდა ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო დიდი არა არქტიკული გამყინვარების გამოკვლევას. სადღაც აქ უნდა ყოფილიყო ის, მეტად მაღალი მწვერვალი, რომელსაც ადგილობრივი ტაჯიკები უწოდებდნენ გარმოს და მთელ ამ რაიონს, ქედების ლაბირინტს და მწვერვალების კრებულს დაერქვა გარმოს კვანძი.

მწვერვალი გარმო ამ რაიონის რუკების პირველმა შემდგენელებმა ბელიაევმა და შემდეგ კორჟენევსკიმ აღნიშნეს დაახლოებით იქ, სადაც დღეს აღმართულია ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი — სტალინის პიკი, ხოლო ნამდვილი გარმო კი გერმანელ მთამსვლელთა ექსპედიციამ, რომელიც ამ რაიონში მუშაობდა, რუკაზე აღნიშნა მწვერვალ დარვაზის სახელით. მხოლოდ შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ რაიონში, სადაც ბელიაევმა და კორჟენევსკიმ აღნიშნეს მწვერვალი გარმო, არსებობს მანამდე უცნობი და მეტად მაღალი მწვერვალი, რომელიც უმაღლესი აღმოჩნდა მთელს საბჭოთა კავშირში, ხოლო ნამდვილი გარმო კი აღმართულია იმ ადგილას, სადაც დარვაზის ქედი ეყოფა აკადემიის ქედს და რუკაზე გერმანელების მიერ მონათლული იყო დარვაზის მწვერვალის სახელწოდებით. ის, რომ ამ მწვერვალს ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებდნენ გარმოს, სრულიად ბუნებრივია. გარმ — ტაჯიკურად ნიშნავს თბილს. ასე ქვია მთელ ხეობას და მდინარეს, რომელიც უერთდება მდინარე ყირგიზობს (ყირგიზების წყალი) ყიშლაქ ფაშიმგარმთან და ქმნის მდინარე ობიხინგოუს. მთელი გარმოს ხეობიდან და ობიხინგოუს ხეობის დიდი მონაკვეთიდან ჩანს გარმოს მწვერვალი, როგორც ხეობის ჩამკეტი მასივი, იმ დროს, როდესაც „გარმოს კვანძის“ უმაღლესი მწვერვალები, რომლებიც გარმოს სიმაღლით აღემატებიან, სჩანან მხოლოდ გარმოს ყინვარის ზედა დინებიდან და ამიტომ ადგილობრივი მცხოვრებნი მათ ვერ ხედავდნენ. ცხადია, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ამ რაიონში იცნობდნენ მხოლოდ ხეობის ჩამკეტ მასივის მწვერვალს და მასვე უწოდეს გარმო.

სიძნელე, რომელსაც შეიცავდა გარმოს და მისი შენაკადის ვავილოვის ყინვარი, ყინულის ჩანჩქერების სახით, დიდხანს აბრკოლებდა მთამსვლელთა ექსპედიციებს, მას შემდეგაც კი, რაც მოხდა ასვლა სტალინის პიკზე აღმოსავლეთის მხრიდან, გარმოს მყინვარის ზედა დინება მთამსვლელთაგან ჯერ ხელუხლებელი იყო.

მხოლოდ 1932 წელს იქნა დადგენილი, თუ რომელია ნამდვილი გარმო. მაშინვე ჩატარდა ამ მწვერვალზე ასვლის პირველი ცდა. მთამსვლელები ნ. კრილენკო და ლ. ბარხაში ვავილოვის ყინვარის მხრიდან იწყებენ მწვერვალზე ასვლას, მაგრამ მალე უკუიქცევიან. კრილენკო თავის დღიურში წერდა: „ფიქრიც არ შეიძლებოდა მწვერვალზე ასვლის შესახებ. მისი ფერდები იმდენად ციცაბონი და კლდოვანნი იყვნენ, ხოლო გადმოკიდებული ათასფუტიანი ლავგარდანები იმდენად მრისხანენი, რომ მწვერვალზე ასვლის თვით აზრიც კი სიგიჟეს წარმოადგენდა“.

გარმოზე ასასვლელი გზების დასაზვერად ბევრი გააკეთა ოდესელ მთამსვლელთა ჯგუფმა 1940 წელს (ა. ბლეშჩუნოვის ხელმძღვანელობით), რომელმაც გადაკვეთა აკადემიის ქედი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გარმოს მახლობლად, მაგრამ ჯგუფს მწვერვალზე ასვლა არც უცდია.

გარმოს მწვერვალზე ასასვლელად შექმნილი ექსპედიცია სათანადოდ მომზადებული მთამსვლელებით პამირისაკენ გაემგზავრა 1948 წელს. ასასვლელად არჩეულ იქნა ვავილოვის ყინვარის მხარე გარმოს ხეობიდან. ეს იყო ერთადერთი გზა, რომელსაც მთამსვლელები იცნობდნენ. აღმოსავლეთის მხარის შესახებ იცოდნენ მხოლოდ, რომ იქ ფერდები მეტად ციცაბოა. ერთადერთი წყარო ამ გზის შესახებ იყო ოდესელი მთამსვლელების მონაცემები. რაც შეეხება სამხრეთ-გეოგრაფიული საზოგადოების ყინვარის მხარეს, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ამ მხრიდან მისადგომების შორიდან მნახველიც კი არავინ იყო.

ბუნებრივია, რომ ჯგუფმა ასასვლელად აირჩია ვავილოვის ყინვარის მხარე. ასვლა ჯგუფისათვის არა მარტო ძნელი, არამედ საკმაოდ დრამატულიც აღმოჩნდა. საიერიშო ჯგუფში შედიოდა 9 მთამსვლელი. ბევრ მათგანს ჰქონდა სიმაღლოვანი ასვლების დიდი პრაქტიკა პამირსა და ტიან-შანში და დიდი ფიზიკური ძალა, რაც ასე აუცილებელია სიმაღლოვანი ასვლების დროს. ამსვლელთა შორის იყვნენ ა. ბაგროვი, ა. ივანოვი, ი. მიროშკინი, ვ. ნაუმენკო და სხვ.

საკმაოდ ძნელი და შრომატევადი გზის გავლის შემდეგ ჯგუფმა დაიწყო კლდოვან-ყინულოვანი კონტრფორსის დაძლევა, რომელიც გარმოს მწვერვალიდან პირდაპირ ვავილოვის ყინვარისაკენ ეშვებოდა. ეს იყო გზა, რომლითაც შეიძლებოდა გვერდის ავლა ზვავებისა და ქვავარდნილებისათვის. მაგრამ კონტრფორსი მოითხოვდა მრავალი ყინულოვანი და კლდოვანი დიდი და პატარა კედლის დაძლევას. ეს ანელებდა მოძრაობას და მოითხოვდა დიდი ენერგიის ხარჯვას. როდესაც სიმაღლის ზღვარი 6.000 მეტრს გასცდა, ყველამ დიდი მოქანცულობა იგრძნო. განსაკუთრებით დაიღალა ი. მიროშკინი, ის უკვე ველარ მისდევდა ამხანაგებს და აჩერებდა წინ წასულებს, თანაც ფეხის კიდურები უჩვეულოდ უცივდებოდა. ცხადი გახდა, რომ მიროშკინი წინ ველარ წავიდოდა. მასთან დარჩა ვ. ნაუმენკო და 29 სექტემბერს ორივემ სწრაფად იწყო ძირს დაშვება. როგორც ჩანს, აქ იყო დაშვებული საბედისწერო შეცდომა — ტექნიკურად რთულ გზაზე ავადმყოფ ამხანაგს გამოატანეს მხოლოდ ერთი ჯანმრთელი მთამსვლელი და როდესაც მიროშკინი კიდევ უფრო ცუდად გახდა, ნაუმენკოს ძალა აღარ ეყო მის ჩამოსაყვანად და ლოდინი დაუწყო მწვერვალისაკენ წასული ამხანაგების დაბრუნებას. მიროშკინს კი, როგორც ჩანს, დაეწყო ფილტვების ანთება. ჟანგბადის ნაკლებობის პირობებში კი ეს თითქმის სასიკვდილო საფრთხეა. 30 აგვისტოს მიროშკინს თითქმის აღარ შეეძლო სიარული, ხოლო 31 აგვისტოს კარავიდან ვერ გამოვიდა. წინ წასული ჯგუფი 30 აგვისტოს ავიდა გარმოს მწვერვალზე და მხოლოდ 1 სექტემბერს ჩამოწვა იქ, სადაც იყვნენ მიროშკინი და ნაუმენკო. უკვე ღამე იყო. მიროშკინმა ისღა იკითხა, აღებულია თუ არა მწვერვალიო და მალე გარდაიცვალა. მიროშკინი დამარხეს იქვე, თხემის კლდეებში.

ასეთი იყო მოკლედ ასვლების ისტორია იმ რაიონში, სადაც ჩვენ მივემგზავრებოდით. ამრიგად, უკვე ცნობილი იყო გზა გარმოს მწვერვალისაკენ ვავილოვის ყინვარიდან. არსებობდა მიახლოებითი აღწერა გზისა აღმოსავლეთიდან, მაგრამ რა მდგომარეობა იყო გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის მხრიდან, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვებოდა. ვიცოდით მხოლოდ, რომ სამხრეთის მხრიდან გარმოს მწვერვალს იფარავდა გვერდითი ქედების მთელი ლაბირინტი და ყინვარები, რომლებიც ჯერ არავის მიერ არ იყო გავლილი. ეს კი ჩვენთვის ბევრად უფრო საინტერესო იყო, ვიდრე აღწერილი და ერთხელ უკვე გავლილი გზებით სიარული, ამას გარდა ვანჩის ხეობაში სამანქანო გზა ღრმად შედიოდა, ეს კი გვანთავისუფლებდა ქარავნის საჭიროებიდან და ის ზედმეტი დრო, რომელსაც დავკარგავდით გზების დასაზვერავად, ამით იქნებოდა ანაზღაურებული.

ექსპედიცია ძირითადად დაკომპლექტდა წარსული წლების ექსპედიციების მონაწილეებით. მაგრამ ამასთან, ამჯერად არ გვიღალატნია მეორე ტრადიციისათვისაც—ყოველ ექსპედიციაში შევყავდა ის ახალგაზრდა მთამსვლელები, რომლებმაც გამოიჩინეს თავი კავკასიონზე. მხოლოდ მიმდინარე წელს, ცდის სახით, უარი ვთქვით დამხმარე ჯგუფზე — გვყავდა მხოლოდ მოიერიშე ჯგუფი, რომელსაც დაეკისრა დამხმარე ჯგუფის ფუნქციების შესრულებაც. მაგრამ ამ ცდამ თავი არ გაამართლა და უკვე ადგილზე იძულებული გავხდით შეგვექმნა დამხმარე ჯგუფი.

საბოლოო სახით ექსპედიცია გამოიყურებოდა ასე: ექსპედიციის უფროსის მოადგილე ა. ივანიშვილი, მოიერიშე ჯგუფი: სპორტის ოსტატი ჯ. მეძმარიაშვილი (ხელმძღვანელი), სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. ხერგიანი და ჰ. ჩართოლანი, სპორტის ოსტატები დ. ობოლაძე და ლ. ახვლედიანი, პირველთანრიგოსნები ზ. ახვლედიანი, ი. გაბლიანი, თ. კუხიანიძე, რ. ხაზარაძე, ო. ხაზარაძე, გ. აბაშიძე, შ. მირიანაშვილი, ო. ბერაძე, გ. თიკანაძე; მარქაფში ჩარიცხული იყო მთამსვლელი გ. მაჭარაშვილი. ექსპედიციას ახლდნენ კინოოპერატორი ბ. კრეპსი და ასისტენტი თ. მერკვილაძე, უ. ჰეჭინაძე და ექიმი-ქირურგი გ. მენაბდე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გარმოს მისადგომისაკენ მსვლელობის დროს ლევან ახვლედიანს აქლემი გაუჯიუტდა, ჩამორჩა. მხედარი იძულებულია წინ წასულ ამხანაგებს ხმა მიაწვდინოს.

უსახელო ყინვარზე გაიშალა საიერიშო ბანაკი. გაცოცხლდა უკაცრიელი ადგილი, დაიწყო მზადება იერიშისათვის.

ფოტო გ. თიკანაძისა

ნოდარ შამანაძე

რას ვიფიქრებდი, ძმაკაცო!

მეგობარ მთამსვლელს —
ჯ. მეძმარიაშვილს

დრო სტუდენტობის ხომ გახსოვს—
მხიარულ თვალთა ციმციმი...
ჩემზეც დაწერე ლექსიო,
მეუბნებოდი სიცილით.

თუ მართლა ამამღერებდი,
რას ვიფიქრე-დი, ძმაკაცო,
ქვეყნად მწვერვალი არ არის,
რომ შეგაშინოს, დაგქანცოს.

ტრფობამ სამშობლო ქვეყნისამ
პამირიც შემოგატარათ.
პატარა კახის გული გაქვს,
ტანათ მახავით პატარას.

იმარჯვეთ — გამარჯვებანი
დიდ გამარჯვებას მოიბას;
ლექსს არ გაკმარებთ, იცოდე,
მე თქვენზე დავწერ პოემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონი ბ. ნიკიტინი ვარჯიშის დროს.
ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ოსტატებისათვის საგულისხმო დღე

◆

„ა“ კლასში, მომავალ წლიდან

◆

16 სექტემბერს, მოსკოვში, ფეხბურთის ვეტერანები დაიწყებენ ტურნირს

◆

ხუთჭიდელთა შეჯიბრება დაიწყო

სურათზე: ცხენოსნური კროსის ტრასაზე რ. მანჯავიძე.

მეორე საპატიო ადგილზე

ფინალური შეჯიბრების მესამე დღეს მრავალრიცხოვანი მაყურებლით აივსო ფიზკულტურელის პარკის საწყლოსნო აუზის ტრიბუნები. მსაჯის სასტვენის ხმაზე პირველად წყალში ჩაეშვენ გათამაშების ლიდერი ლვოვის „დინამოსა“ და სტალინგრადის „სპარტაკის“ წყალბურთელთა გუნდები.

თამაში ლიდერის ხანგრძლივი იერიშით იწყება და მალე დინამოელთა გუნდის კაპიტანი ჩერნოვი, აგვირგვინებს პარტნიორთა მიერ გათამაშებულ კომბინაციას — 1:0. მე-2 წუთზე სტალინგრადელები ხელმეორედ იწყებენ თამაშს ცენტრიდან, ბურთი გაიტანა პინსკიმ — 2:0. მე-6 წუთზე კვლავ ჩერნოვმა გაზარდა ანგარიში — 3:0. შემდეგ მან კიდევ ერთი გოლი გაიტანა და პირველი ნახევარი დამთავრდა—4:1.

შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 5:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდების შეხვედრამ. მატჩის მოგების შემთხვევაში თბილისელები „ა“ კლასში გადადიოდნენ. შეხვედრა თბილისელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ ისინი გადაცემებს ხშირად ჰკარგავდნენ და კარშიც არაზუსტად ტყორცნიდნენ. ამიტომ იყო, რომ მე-8 წუთისათვის ლაზარევის გადაცემიდან კურენოიმ ძლიერი ტყორცნით გახსნა ანგარიში — 1:0. შესვენების შემდეგ თბილისელები უფრო გააქტიურდნენ. მოსკოველები ცდილობენ „ჩაჰკეტონ“ თბილისელთა თავდასხმის ლიდერი დარახველიძე, რომელიც ბევრს მოძრაობდა კარის ახლოს და მეტად სახიფათო მომენტებს ქმნიდა. მე-2 წუთზე დარახველიძეს უხეშად ექცევიან და მსაჯი ნიშნავს 4-მეტრიან საჯარიმოს. დაზარალებულმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1. მე-3 წუთზე კარის წინ პირისპირ გავიდა თბილისელი ნოვეიშვილი, მაგრამ მან ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის ნაღდი შესაძლებლობა. მე-4 წუთისათვის მასპინძლებს წამით ყურადღებიდან გამორჩათ მოსკოველი ლაზარევი, რომელმაც გრძელი გადაცემიდან მეორე ბურთი გააგზავნა თბილისელთა ბადეში. 2:1. მე-6 წუთზე ოთხმეტრიანი საჯარიმო ტყორცნიდან ისევ დარახველიძე ათანაბრებს ანგარიშს — 2:2. შეხვედრის დამთავრებას ერთი წუთი აკლდა, როცა თბილისელმა ნოვეიშვილმა ხელთ იგდო ბურთი, მთელი სისწრაფით გავიდა კარისაკენ და გადააწოდა კართან მდგომ დარახველიძეს, რომელმაც მეტად ძნელი მდგომარეობიდან მესამე გადამწყვეტი ბურთი გაიტანა — 3:2. თბილისელებმა მეტად ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

უკანასკნელ დღეს მესამე ადგილის მოპოვებისათვის ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-ს I და სტალინგრადის „სპარტაკის“ გუნდები. გაიმარჯვა პირველმა — 7:4. თბილისელები ამ დღეს თამაშობდნენ ტაჯიკეთის ნაკრებთან. ეს შეხვედრა მათ ადვილად მოიგეს — 5:2.

ამრიგად, დამთავრდა „ბ“ კლასის 1957 წლის წყალბურთელთა ასპარეზობა. ლვოვის „დინამო“ და თბილისის „ბურევესტნიკი“ მომავალ წელს ითამაშებენ „ა“ კლასში.

შ. ქირია.

ვეტერანები ემზადებიან

16 სექტემბერს მოსკოვში დაიწყება ვეტერან ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და თბილისის გუნდები.

საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანები კარგა ხანია შეუდგნენ მზადებას. რეგულარულად ვარჯიშობენ მოსკოველები — ა. ხომიჩი, ა. აკიმოვი, ს. ილინი, ვ. ტროფიმოვი, ი. კოჩეტკოვი, ნ. დემენტიევი, ვ. ბობროვი, მ. სემიჩასტნი, ა. გრინინი და სხვანი. წარმატებით ჩაატარეს რამდენიმე ამხანაგური მატჩი კიეველებმა (შეგოცკი, ვინკოვატოვი, პონომარევი, გონჩარენკო, ლერმანი და სხვანი). ლენინგრადელთა გუნდის თავდასხმას ხელმძღვანელობს ერთ-ერთი უძველესი ფეხბურთელი პ. დემენტიევი. მის გარდა თამაშობენ არხანგელსკი, ლატკოვი, ძმები ფედოროვები, ივანოვი და სხვები.

ერთი სიტყვით, თბილისელ ვეტერანებს წინა აქვთ მეტად საპასუხისმგებლო ტურნირი ძლიერ მოწინააღმდეგეებთან. ამიტომ საჭიროა სერიოზული მზადება, რათა ქართველ ფეხბურთელთა ძველმა პლეადამ კვლავ, როგორც უწინ, ისახელოს თავი დედაქალაქში.

და თბილისელებიც ემზადებიან. პირველ ვარჯიშებს საერთო ფიზიკურ მომზადებაზე, ტექნიკური ელემენტების შესრულებაზე, მოყვა ამხანაგური მატჩებიც. ამას წინათ მათ მოუგეს თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდს, ხოლო 8 სექტემბერს შეხვდნენ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს და მიმდინარე რესპუბლიკური პირველობის ლიდერს — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდს.

ძველი ოსტატების პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: რ. კავსაძე, ი. სარჯველაძე, ბ. ფროლოვი, ვ. რამიშვილი, გ. ჭელიძე, კ. ლოგინოვი, ა. პაიჭაძე, გ. ანთაძე, ვ. პანიუკოვი, ლ. ლოლაძე, ნ. სააკაშვილი. შემდგომში თამაშში ჩაებნენ მ. ჯოჯუა, ა. ორლოვი, ს. ჯეჯელავა. მსაჯობდა თ. კუბლაშვილი.

ვეტერანთა მატჩი ტრამვაელთა ძლიერ გუნდთან უნდა განვიხილოთ როგორც მათი ძალების შეფასება — შეუძლიათ თუ არა ძველ ფეხბურთელებს გაუძლონ მაღალ ტემპს, სისწრაფეს, დიდ დატვირთვას, შეუძლიათ თუ არა გაუძლონ ძალისმიერ ბრძოლას მთელ მინდორზე. პირდაპირ უნდა ითქვას, ვეტერანებმა ყოველმხრივ დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს მატჩი. მათ საჭირო სისწრაფეც აქვთ (რა თქმა უნდა, თავიანთი ასაკისათვის), გამძლეობაც და ენერგიაც. მონდომება და ბრძოლისუნარიანობა ხომ თბილისელებს არასოდეს არ აკლდათ.

დარწმუნებულად იცავდა კარს კავსაძე, რომელმაც რამდენიმე მართლაც ძნელი ბურთი აიღო. ზუსტად და შეთანხმებულად თამაშობდნენ დაცვაში სარჯველაძე, ლოგინოვი, რამიშვილი, ჭელიძე.

თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მარჯვენა ფრთა — ა. პაიჭაძე და ანთაძე. ორივე ფეხბურთელი თამაშობს აქტიურად, ვრცელ ტერიტორიაზე, კარგი ურთიერთმოქმედებით. პანიუკოვი, ეტყობა ჯერ არაა შესული ფორმაში, მაგრამ ძველებური სიზუსტით ანაწილებს ბურთებს და ურტყამს კარში. დიდი დატვირთვით თამაშობდნენ ლოლაძე, ჯეჯელავა, ჯოჯუა, ფროლოვი.

ერთი სიტყვით, ვეტერანებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს (მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1). დარჩენილი დღეები გამოყენებულ უნდა იქნას მაქსიმალური სარგებლიანობით და, იმედია, თბილისის გუნდი მომავალ ტურნირზე სათანადოდ მომზადებული წარსდგება.

ნ. ცაგარელი,
გ. გრიგოლაშვილი.

სიურპრიზების დღე

7 სექტემბერს თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის გათამაშება ჩოგბურთში. ამ დღეს მაყურებელს პირველი სიურპრიზი შესთავაზა ახალგაზრდა ტალინელმა ჩოგბურთელმა თომას ლეიუსმა. მისი მსხვერპლი აღმოჩნდა ლენინგრადელი ა. ბოიცოვი. რის თქმა შეიძლება ამ შეხვედრის შესახებ? თამაშობდა თუ არა ბოიცოვი მთელი ძალით, თუ ეს დამარცხება შემთხვევის ბრალი იყო? ახალგაზრდა ესტონელი ჩოგბურთელის გამარჯვება მისი მოწინააღმდეგის სუსტი თამაშით არ იყო გამოწვეული. ლეიუსმა მაყურებელს აჩვენა მომწიფებული და შინაარსიანი თამაში, ერთი შეხედვით დინჯი, იგი სულ მუდამ იქ იყო, სადაც ამას თამაშის სიტუაცია მოითხოვდა. მას აქვს მეტად ზუსტი, ძლიერი დარტყმები და მავე დროს იგი არ უშვებს ხელსაყრელ მომენტს ბადესთან წინ გასვლისათვის. შეხვედრის ანგარიში ასეთი იყო: 6:4, 2:6, 6:2, 0:6, 7:5.

შეჯიბრების მეორე ტურში წარუმატებლად გამოვიდნენ თბილისელი ჩოგბურთელები ურაევსკი, კაპანაძე, კოკაია, ვერულავა და მუსაელიანი. მართალია, მათ წააგეს შეხვედრები ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელებთან (კორჩაგინი, ანისიმოვი, ოზეროვი და სხვ.) მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად და ისინი იბრძვიან მხოლოდ 16-32 ადგილისათვის.

მხოლოდ ერთმა თბილისელმა — რიაზანოვამ შეძლო ამ დღეს გამარჯვება. მან ორ პარტიაში დაამარცხა გლუხოვა.

8 სექტემბერი ნამდვილად სიურპრიზების დღე იყო — ბევრმა ტიტულიანმა ჩოგბურთელმა დაჰკარგა საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის უფლება. როდესაც დიქტორმა გამოაცხადა, რომ მეექვსე მოედანზე ერთმანეთს შეხვდებიან ლეიუსი და ხიოპი, მაყურებელთა უმრავლესობამ ამ მოედნისკენ გადაინაცვლა. ყველას აინტერესებდა ერთი რამ, შეძლებდა თუ არა ახალგაზრდა ლეიუსი გამოცდის დაჭერას და იმის დამტკიცებას, რომ წინა დღეს მან დამსახურებულად მოუგო ბოიცოვს. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ესტონელმა ამ დღესაც გაამართლა იმედები. გამოცდილი ჩოგბურთელი ხიოპი მხოლოდ ერთხელ იყო გამარჯვებასთან ახლოს, როდესაც მან მოიგო მეორე პარტია, მაგრამ ლეიუსმა არ უღალატა თავის საბრძოლო პროგრამას და დაამარცხა თავისი ძლიერი თანამემამულე ანგარიშით 3:1. ლეიუსმა ამ მოგებით, დანარჩენ 7 უძლიერეს ჩოგბურთელთან ერთად, პირველობისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. ლეიუსის მწვრთნელმა ე. კეემ საუბარში განაცხადა, რომ მისი აღზრდილი ტალინის მეორე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოწაფეა, იგი 16 წლისაა, ამის მიუხედავად ძალიან გულდასმით და ენერგიულად გადის საწვრთნელ ვარჯიშებში.

მორიგი სიურპრიზი ამ დღეს იყო კორჩაგინის დამარცხება. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა წააგო მატჩი 17 წლის ლენინგრადელ პოტანინთან. დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ოზეროვისა და ნოვიკის შეხვედრა. ოზეროვმა თამაში ჩვეულებრივად სწრაფ, აგრესიულ სტილში დაიწყო და ზედიზედ მოიგო პარტია. შემდგომში ნოვიკმა ალღო აუღო თავისი მოწინააღმდეგის თამაშის თავისებურებას და სამი მომდევნო პარტიის მოგებით წარმატებას მიაღწია შეხვედრაში.

ჩოგბურთის მოყვარულები მოსკოველ ფრიდლანდს იცნობენ როგორც დინჯ და გამძლე სპორტსმენს, რომელსაც შეუძლია აწარმოოს ხანგრძლივი ბრძოლა. მაგრამ ამჯერად ესტონელ კედარსთან მას ნაცადმა ტაქტიკამ არ გაუმართლა — და წააგო შეხვედრა ოთხ პარტიაში.

მესამე ტურში ყველასათვის მოულოდნელი იყო სპორტის ოსტატ კუზმენკოს დამარცხება ახალგაზრდა დმიტრიევასთან შეხვედრაში. ამ დღეს დამარცხება იგემა ესტონელმა ოსტატმა ტამმაც.

წარმატებით იბრძვის ჩემპიონატში ახალგაზრდა ჩოგბურთელი რიაზანოვა, რომელმაც მეტად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ესტონელი მიარია.

ლ. თუშიშვილი

კარგი ცხენი და გამოუცდელი მხედარი

როცა კარგ მხედარს ცხენი ვერ გაუგებს და მათი გამოსვლა შეჯიბრებაზე მარცხით მთავრდება, ამაზე ...ულის მთლიანად პირუტყს ატყდება ხოლმე თავს. მაგრამ სულ სხვა სურათი იყო დღესის მიმდინარე... ბოლოს, როცა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოსწავლეთა ხუთჭიდში რესპუბლიკური შეჯიბრების მონაწილეები. საქართველოს 1957 წლის პირველობა უკვე ჩატარდა ივნისში, მაგრამ ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის ხუთჭიდელები ჯერჯერობით ჩამორჩებიან წამყვან რესპუბლიკათა სპორტსმენებს, მათთვის საჭიროა ხშირი მონაწილეობა შეჯიბრებებში. 20 სექტემბერს ერევანში მეგობრული ვიზიტით ჩამოვლენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხუთჭიდელები. აქ გაიმართება სსრ კავშირის (ნაკრები), სომხეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრა, ხოლო ოქტომბერში ბაქოში ჩატარდება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სპარტაკიადა. ყველაფერი ეს მოითხოვს ჩვენს ხუთჭიდელთა ინტენსიურ წვრთნასა და საბრძოლო მზადყოფნას.

ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებათა წინ სავსებით მომწიფებულია საკითხი შერჩევით ასპარეზობათა ჩატარების შესახებ. ამდენად მიმდინარე შეჯიბრება ერთობ საპასუხისმგებლოა. მაგრამ საინტერესოა, როგორი მომზადებით შეხვდნენ მას ჩვენი ხუთჭიდელები?

აი, ცხენოსნური კროსის სტარტზეა პირველი მხედარი ნომრით 56, პირველ სამ წინაღობას ცხენი მსუბუქად იღებს, ხოლო შემდეგ, როცა ტრასა თანდათან რთულდება, მხედარს თითქმის ყველა დაბრკოლებაზე დასჭირდა სამ-სამი ცდა, რათა გადაელახა ისინი.

— რა კარგი ცხენია, მხედარი კი სრულიად გამოუცდელი! — თქვა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ცხენოსნობაში გ. გუმბამ, რომელიც ამჯერად მაყურებლის როლში იყო და ყოველნაირად ცდილობდა გაემხნევებინა სპორტსმენი. მაგრამ შეძახილებით ახალბედა ბათუმელ სპორტსმენს ალბათ მსოფლიო ჩემპიონიც კი ვერ უშველიდა. იგი ზედიზედ აქცევდა დაბრკოლებებს და მცირე სიჩქარეზე ცხენიდან გადმოვარდნაც კი მოახერხა სამჯერ. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმელ ბორისენკოს მისი გუნდის სხვა წევრებიც არ ჩამორჩებოდნენ.

პირველ დღეს საუკეთესო დრო ჰქონდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ი. საკს (5.20). დროის მიხედვით მეორე შედეგი — 5.26 ჰქონდა თბილისელ სპორტის ოსტატს რ. მანჯავიძეს. მაგრამ მსაჯთა ბარათებში სპორტის ოსტატს არც ერთი საჯარიმო ქულა არ აღმოაჩნდა, მაშინ, როცა საკს ორი ცდა დასჭირდა „კედლის“ აღებად. ამიტომ საკმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

შეჯიბრება გრძელდება...

უ. ჭიჭინაძე

სარბიელზე—132 წყვილი

ჯერ ზონალურ შეჯიბრებებზე, ბოლოს კი ფინალში წარმოდგენილი კოლმეურნე მოჭიდავენი თავისი ლაზათიანი, სხარტი და გაბედული ბრძოლებით მაყურებელთა კმაყოფილებას იწვევდნენ. გორის, წითელწყაროსა და ცხაკაიას ზონებში ჩატარებულმა შეჯიბრებებმა ცხადყვეს, რომ ჩვენს რაიონებს ბევრი ჰყავთ საუკეთესო მოჭიდავენი. ზოგ მათგანს პირველად თითქოს გამბედაობა აკლდა, მაგრამ გაფრთხილებისთანავე იერიშზე გადადიოდა და სულ მალე გამარჯვებით აგვირგვინებდა ორთაბრძოლას.

საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობის ფინალმაც, რომელიც 3-5 სექტემბერს ჩატარდა თბილისში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. სამდღიან შეჯიბრებაზე ჩატარებული 132 წყვილის (დღეში 44) შებრძოლებები, როგორც იშვიათი ფაქტი, იმის მაჩვენებელია, რომ ჭიდაობა შემტევ, საბრძოლო ხასიათს ატარებდა და პრავალი ორთაბრძოლა სუფთა გამარჯვებით მთავრდებოდა.

პირველი დღიდანვე ნათელი გახდა, რომ პირველობისათვის ბრძოლა გორის, ახმეტის, მცხეთის, გარეუბნისა და წითელწყაროს გუნდებს შორის წარიმართებოდა. უკანასკნელი წყვილების შებრძოლებამდე ძნელი იყო ვარაუდი, თუ ამ გუნდთა შორის რომელი გაიჭრებოდა წინ, რადგან თითო ქულასაც ამ დაძაბულ პირველობაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს საბოლოო შედეგებმაც დაადასტურა: ახალ ჩემპიონს — გორის გუნდს (24 ქულა) მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე გამოსული ახმეტის გუნდი, ხოლო, თავის მხრივ, მესამე ადგილზე გამოსული მცხეთის გუნდიც ერთი ქულით ჩამორჩა ახმეტას. გასული წლის ჩემპიონი — გარეუბნის გუნდი მეოთხე ადგილზე გამოვიდა 20 ქულით. ახმეტის გუნდის მესვეურთა უყურადღებობის გამო მის შემადგენლობაში არ იყო მძიმე წონის მოჭიდავე, რამაც 8 საჯარიმო ქულა შეეწირა. ეს რომ არა, შესაძლებელია პირველობის ბედი სხვაგვარად გადაწყვეტილიყო.

ამ შეჯიბრებამ ბევრი კარგი მოჭიდავე გამოავლინა. გასული წლის ძლიერ მოჭიდავეებს — ი. მახსულიას, ზ. მონასელიძეს, ვ. ჩიკვილაძეს, გ. სიმონიშვილს, ლ. ბულკაშვილს, ვ. გენებაშვილს, ზ. მუხიაშვილს, გ. სულაშვილს — გაუსწრეს და პირველ ადგილებზე გამოვიდნენ ვ. ბეგიაშვილი (სიღნაღი), ბ. მაისურაძე (ახმეტა), ნ. ბესელია (ხობი), ა. ოდიშვილი (წითელწყარო) და ვ. ნასყიდაშვილი (გორის რაიონი).

პირად და გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულთ საზეიმო ვითარებაში გადაეცა დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

მ. ხერხეულიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



ყველა გზა სტოკჰოლმისაკენ მიდის

ეს არაა გადაჭარბებული თქმა.

ყველა „საფეხბურთო“ გზა მთელ მსოფლიოში დღეს შვეციისაკენ მიემართება. ყოველი ქვეყანა, რომელიც უკვე მოხვდა ფინალისტთა რიცხვში, ან ჯერ კიდევ აქვს იქ მოხვედრის შანსი, თავის ჩემპიონატს ან თასის გათამაშებას, თავის საერთაშორისო შეხვედრებს იმგვარად წარმართავს, რომ დააკომპლექტოს და მოამზადოს გუნდი სტოკჰოლმისათვის, სადაც 1958 წლის 8 ივნისს დაიწყება VI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩები.

თუმცა, არც ისინი არიან გულხელდაკრეფილნი, ვისაც სტოკჰოლმში თამაში არ მოუწევს: მსოფლიო ჩემპიონატი სკოლაა, რომლის ათვისება ყველასათვის სავალდებულოა, ვინც თავის თავს საერთაშორისო კლასის ფეხბურთს აკუთვნებს. აბა, მაგალითად, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები წარსულში — ურუგვაელები ახლაც სიმწრით ირტყამენ გულში ხელს, როცა პარაგვაისა და კოლუმბიაში ჩატარებული მატჩები ახსენდებათ და მხოლოდ იმისი იმედი აქვთ, რომ სტოკჰოლმის ფინალს მოწაფის თვალით უყურონ და მისი გაკვეთილები 1962 წლისათვის გამოიყენონ. შორია, ერთობ შორი, მაგრამ, რას იზამ, სხვა გზა მათ არა აქვთ...

უცხოეთის სპორტული პრესა მეტად დიდ ადგილს უთმობს მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატს და ხშირად იმეორებს იმ აზრს, რომ სტოკჰოლმში არავითარ მოულოდნელობას არ ექნება ადგილი და გამარჯვებას მოიპოვებს უეჭველად ის, ვინც ნამდვილად ძლიერია ყოველმხრივ — როგორც ტექნიკურად და ტაქტიკურად, ისე ფიზიკური და მორალური თვისებების მხრივ (სპორტულ პრესას ალბათ მხედველობაში აქვს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდის წარმატება 1954 წლის ჩემპიონატში).

მართლაც, შემთხვევითობას ადგილი არ უნდა ექნეს, მაგრამ ფინალის დღეებში (8-დან 29 ივნისამდე) გუნდებს მოუწევთ უაღრესად ძნელი მატჩების სერიის ჩატარება, რაც მოთამაშეთაგან მოითხოვს ძალისა და ნერვების მაქსიმალურ დაძაბვას. ასეთ მატჩებში სულ უბრალო შეცდომამაც კი შეიძლება მარცხით დამთავრდეს.

მეოთხედფინალური შეხვედრები ჩატარდება წრიული სისტემით 4 ქვეჯგუფში. 8 გამარჯვებული გუნდი (2-2 თვითეული ქვეჯგუფიდან) შექმნის მეოთხედფინალს, სადაც მატჩები იწარმოებს ოლიმპიური სისტემით — დამარცხებული გუნდი მიიღებს შხაპს, ავტომატურად გადავა მაყურებელთა რიცხვში და თავის ქვეყანაში მხოლოდ მოგონებებს ჩაიტანს.

საზღვარგარეთულ გაზეთებში დაწვრილებით განიხილავენ ე. წ. ფავორიტების შანსებს მომავალ შეჯიბრებაში. ამ ფავორიტთა შორის საერთო აზრით ერთ-ერთი პირველი ადგილი მიკუთვნებული აქვს ინგლისს.

ეს ადგილი, კარგა ხნის წინათ დაკარგული და ჩამორთმეული, ინგლისმა ბოლო წლების მანძილზე სამართლიანად დაიბრუნა და ახლა სრული საფუძველი აქვს იფიქროს მის განმტკიცებაზე სტოკჰოლმში. მაშინაც კი, როცა ინგლისური ფეხბურთის ჰეგემონია კარგა ხნის ჩასვენებული იყო, ინგლისელ კონსერვატორებს ჯიუტად არ სურდათ სიახლეთა შეტანა თავიანთი ნაკრები გუნდის მომზადებაში, არ კადრულობდნენ თავის გაყადრებას უცხოურ ფეხბურთთან და ქედმაღლურად გასცქეროდნენ კონტინენტს თავიანთი კუნძულიდან.

ინგლისელები, როგორც იქნა, გონს მოვიდნენ. მართალია, ამას დიდი დრო და ერთობ სამარცხვინო პერიოდის გადატანა დაჭირდა, მაგრამ წარსული დიდება „ფეხბურთის მასწავლებლებს“ თანდათან უბრუნდებათ. ინგლისელები სერიოზულად ფიქრობენ თავიანთი ნაკრების მომზადების ფორმებისა და მეთოდების შეცვლის შესახებ. მათ მშვენივრად ესმით, რომ მაღალი ტაქტიკური და ტექნიკური ოსტატობის გარდა საჭიროა სათანადო ფიზიკური მომზადება და შეთამაშება. ეს უკანასკნელი საკითხი „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს ინგლისურ ფეხბურთში, ვინაიდან აქ საფეხბურთო სეზონი დიდხანს — 9 თვეს გრძელდება და ეს „ფეხმძიმობის“ პერიოდი, როგორც მას ხუმრობით უწოდებენ საზღვარგარეთ, მთავრდება ფინალური მატჩით თასზე მაისის პირველ შაბათს. ე. ი. 1958 წელს ფინალს უწევს 3 მაისი, 8 ივნისს კი იწყება გათამაშება შვეციაში. ამ 5 კვირის განმავლობაში ნაკრების წევრებმა უნდა დასვენებაც მოასწრონ და წვრთნაც. ეს კი არც ისე იოლი საქმეა.

ინგლისის საფეხბურთო ფედერაციას ჯერჯერობით ასე აქვს გადაწყვეტილი — 2 კვირა მიეცეს მოთამაშეებს აუცილებელი საჭირო დასვენებისათვის, ხოლო შემდეგ ჩაატარონ საწვრთნელი შეკრება, სადაც ძირითადი ყურადღება მიექცევა ფიზიკურ მომზადებას.

ეს საერთო საკითხია. მაგრამ კიდევ უფრო პრობლემატურია მთავარი: როგორ დაკომპლექტდეს ნაკრები — ერთი რომელიმე გუნდის ბაზაზე, თუ სხვადასხვა კლუბების უძლიერეს მოთამაშეთაგან? ეს პრობლემა მარტო ინგლისური როდია. იგი სხვა ქვეყნებსაც აწუხებს და მას სხვადასხვაგვარად უდგებიან. კერძოდ, ინგლისში საკითხი პრინციპულად უკვე გადაწყდა—ინგლისის ნაკრები გუნდი იქნება „უმაღლესი კატეგორიის სოლისტთა ანსამბლი“.

აგვისტოს დასასრულს ინგლისში დაიწყო 1957-58 წლების სეზონი. ფეხბურთის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იგი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე ჩაივლის, ვიდრე წინა წლებში და მაყურებელთა რაოდენობაც გაცილებით მეტი იქნება. გუნდებში მრავლად არიან შეყვანილი ახალგაზრდა მოთამაშეები, გაიზარდა პროფესიონალ ფეხბურთელთა ხელფასიც. პირველ მატჩებში „არსენალმა“ დაამარცხა „სანდერლენდი“ — 1:0, „ვულვერჰემპტონმა“ დამარცხება განიცადა „ევერტონისგან“ — 0 : 1. თბილისელ მაყურებელთათვის კარგად ცნობილმა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ გაჭირვებით მოუგო „ნიუკასლს“ — 2 : 1.

უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო დეტალი: პირველად ინგლისის ფეხბურთის მრავალწლიან ისტორიაში გადადებულ იქნა კალენდარული მატჩი პირველობაზე. „შეფილდ უენსდეის“ მოთამაშეთა ნახევარზე მეტი ავად გახდა ვირუსული გრიპით, ამიტომ გუნდის შეხვედრა „მანჩესტერ სიტისთან“ გადაიდო.

ნაკრები გუნდების მოსამზადებლად ერთობ ცოტა დრო რჩებათ აგრეთვე საფრანგეთს, იტალიას, ბელგიას, შვეიცარიას (რა თქმა უნდა, თუ ისინი გავლენ ფინალში). აქ წამოყენებულია რამდენიმე ვარიანტი, მაგალითად, მეორე წრეში ჩემპიონატის მატჩების ჩატარება არა ერთხელ კვირაში, არამედ ორჯერ, ან — ნაკრები გუნდის წევრების განთავისუფლება ჩემპიონატის ბოლო ტურებიდან და თასიდან და ა. შ. მაგრამ აქ კვლავ თავს იჩენს ძველი, ქრონიკული დავა ფედერაციასა და კლუბებს შორის. კვლავ იმის კლუბების ხელმძღვანელთა დაჟინებული: „ჩემი... არ მოგცემთ...“ ვინ იცის, შეძლებენ თუ არა მოდავეები ხმების შეწყობას.

ნ. ცაგარელი



ღამის წყვდიადში მამაც საბჭოთა პარაშუტისტთა ექვსეულმა თვითმფრინავ „სოკოლიდან“ მოახდინა სარეკორდო გადმოხტომა 14 ათასი მეტრის სიმაღლიდან. მათ პარაშუტები გახსნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწამდე დარჩენილი იყო 1.000-მდე მეტრი. ეს შედეგი 1.500 მეტრით უკეთესია მიმდინარე წლის მარტში ჩეხოსლოვაკელების მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე.

ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიო რეკორდსმენები. მარცხნიდან—ვ. ოშჩენკო, ვ. რომანიუკი, გ. ნიკოლაევი, ა. ხავინი, ნ. ნიკიტინი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ე. ანდრეევი.

ფოტო ე. სოკოლოვისა

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისათვ
ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
„დინამო“ მ.	15	11	3	1	29:7
„ტორპედო“	15	7	5	3	33:18
ცსკ მო	16	9	1	6	34:21
„სპარტაკი“ მ.	15	8	3	4	27:17
„დინამო“ კ.	13	6	5	2	18:12
„ლოკომოტივი“	14	7	3	4	21:17
„დინამო“ თბ.	14	7	1	6	20:22
„ბურევესტ.“	16	2	9	5	14:18
„შახტიორი“	15	4	4	7	11:20
„ზენიტი“	14	3	3	8	15:29
„კრ. სოვეტ.“	17	1	7	9	5:26
„სპარტაკი“ მნ.	18	1	6	11	8:28

• • •

მ ო ს კ ო ვ ი. 8 სექტემბერი. შედგა მორიგი მატჩი საკავშირ პირველობაზე ფეხბურთში. თამ შობდნენ „დინამო“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ (მინსკი).

ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს დინ მოელებმა.

სსრ კავშირის თასზე

გუშინ, 9 სექტემბერს მოსკოვ გაიმართა სსრ კავშირის თასის გ თამაშების მეოთხედფინალური მ ჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვ „ტორპედოსა“ და თბილისის „დინ მოს“ ფეხბურთელები.

თამაში დამთავრდა მოსკოველ გამარჯვებით — 6:1.

მსოფლიოს პირველობაზე

4 სექტემბერს ისლანდიის დედ ქალაქ რეიკიავიკში შედგა მორი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. ისლანდი ნაკრებმა გუნდმა მიიღო ბელგი ნაკრები და განიცადა მეოთხე მარცხება თავის ჯგუფში ანგარიში 2:5 (0:2).

გასწორება

სტატიაში „შტანგისტის საწვრთნელი დატვირთვის ხასიათის შესახებ“, რომელიც მიმდინარე წლის № 9 100-ში დაიბეჭდა, ავტორის თხოვნ ვასწორებთ შეცდომას: № 98-ში პი ველი სვეტის მე-16 სტრიქონი ახვ და იკითხებოდეს: „იმ ძირითად გეტატურ ფუნქციებისა, რომლებ ემსახურებიან“... და შემდეგ გორც ტექსტშია. ამავე სვეტის ზე დან 47-ე სტრიქონში სიტყვა „ ლოგრამებში“ უნდა იკითხებოდე „კილოგრამეტრებში“. ასევე, ლის ამავე ნაწილის მეოთხე ში. № 100-ში: მეორე სვეტი 0,06 წამის ნაცვლად, 0,08 ცხრილის გრაფაში „ორი ხელ ატაცი ბუქნით“ უნდა იყოს ხე — „ორჯერ“.

რედაქტორი ი. უგულავ

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით, რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგესა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 14. უე 0362